

ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები

წინამდებარე პირობები განსაზღვრავს შპს ლოიალის ვებ-გვერდის - www.lawyal.ge გამოყენების წესებსა და პირობებს (შემდგომში - **ვებ-გვერდის პირობები**). **ვებ-გვერდზე** სტუმრობით თქვენ აცხადებთ თანხმობას **ვებ-გვერდის პირობებზე**.

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **ვებ-გვერდის პირობების** მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:
ვებ-გვერდი - კომპანიის სარგებლობაში არსებული ვებ-გვერდი, რომლის მისამართია www.Lawyal.ge.
ვიზიტორი - ნებისმიერი პირი, რომელიც ესტუმრება **ვებ-გვერდს** ნებისმიერი მოწყობილობიდან.
კომპანია - შპს ლოიალ, საიდენტიფიკაციო ნომერი: 406321298.
მასალა - **ვებ-გვერდზე** განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია, სურათი, ილუსტრაცია, იკონი, გრაფიკული გამოსახულება, ტექსტი, სტატია ან/და სხვა ნებისმიერი ბექდვითი დოკუმენტი.
საკონტაქტო ფორმა - **ვებ-გვერდზე** ინტეგრირებული საკონტაქტო ფორმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია **კომპანიისათვის** შეტყობინების გაგზავნა.
- 1.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა.

2. საავტორო უფლებები

- 2.1. **მასალაზე** ვრცელდება **კომპანიის** საავტორო უფლებები. **ვიზიტორი** არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს (მათ შორის ჩამოტვირთოს/გადმოწეროს) ან/და გავრცელოს **მასალა** ნებისმიერი საშუალებით **კომპანიის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მიუხედავად იმისა, იძლევა თუ არა **ვებ-გვერდი** ტექნიკურად აღნიშნულის საშუალებას, გარდა **ვებ-გვერდის პირობების 2.2. პუნქტში** აღნიშნული შემთხვევისა.
- 2.2. **მასალის** ნებისმიერი საშუალებით გავრცელება დასაშვებია მხოლოდ, იმ პირობით, რომ:
 - 2.2.1. ასეთი გავრცელება იქნება უფასო და არაკომერციული მიზნებისათვის.
 - 2.2.2. ნებისმიერი გავრცელების დროს შესაბამისი მასალის/სტატიის ავტორად მითითებულ იქნება **კომპანია** და **ვებ-გვერდის** შესაბამისი მისამართი.
 - 2.2.3. შესაბამისი **მასალის** შინაარსი გავრცელებულ იქნება უცვლელი, პირვანდელი სახით.
 - 2.2.4. გავრცელებისას მითითებულ იქნება **კომპანიის** პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაბამისი ჩანაწერი.
- 2.3. **მასალის**, ნებისმიერი საშუალებით, **ვებ-გვერდის პირობების** დარღვევით, გამოყენების ან/და გავრცელების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, **კომპანია** უფლებამოსილია მოსთხოვოს შესაბამის პირს **მასალის** წაშლა, გავრცელების შეწყვეტა, **მასალაზე კომპანიის** ან/და **ვებ-გვერდის** ლინკის მითითება ან/და სხვა ნებისმიერი ქმედების შესრულება, ხოლო აღნიშნული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს **კომპანიის** შესაბამისი მითითება.

3. პერსონალური მონაცემების დამუშავება

- 3.1. **კომპანიის** მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები **კომპანიას** მიეწოდება თავად **მონაცემთა სუბიექტის** მიერ. **კომპანიის** მიერ ხდება შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავება:
 - 3.1.1. სახელი და გვარი.
 - 3.1.2. ტელეფონის ნომერი.
 - 3.1.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი.
 - 3.1.4. კომპანიისათვის გაგზავნილ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.2. **კომპანიის** მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება შემდეგ შემთხვევებში:
 - 3.2.1. **საკონტაქტო ფორმის** შევსებისას.
 - 3.2.2. **კომპანიასთან** კომუნიკაციისას, მათ შორის ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 3.3. **კომპანიის** მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით და მისი სრული დაცვით, მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევის ან/და მომსახურების შეთავაზების/რეკლამირების მიზნებისათვის.
- 3.4. **კომპანიის** მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემა ხდება **კომპანიის** მხოლოდ იმ წარმომადგენელი პირებისათვის, რომლებსაც აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევის ან/და მომსახურების შეთავაზების/რეკლამირების მიზნებისათვის. სხვა მესამე პირებისათვის პერსონალური მონაცემების გადაცემა არ ხდება.

- 3.5. პერსონალური მონაცემების შენახვა ხდება **კომპანიის** მიერ მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში ან/და იმ ვადით, რაც საჭიროა **კომპანიის** მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევისათვის.
- 3.6. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია:
 - 3.6.1. მოითხოვოს შემდეგი ინფორმაცია:
 - 3.6.1.1. თუ რა მონაცემები მუშავდება მის შესახებ.
 - 3.6.1.2. მონაცემთა დამუშავების მიზანი.
 - 3.6.1.3. მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.
 - 3.6.1.4. მოხდა თუ არა მისი პერსონალური მონაცემების მესამე პირისათვის გადაცემა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვინაობა იმ პირისა, ვიზუალ მოხდა მათი გადაცემა.
 - 3.6.1.5. მონაცემთა მესამე პირისათვის გადაცემის საფუძველი და მიზანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - 3.6.2. მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არის არასრული, არაზუსტი, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;
 - 3.6.3. მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი);
 - 3.6.4. თუ თვლის, რომ **კომპანიის** მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესებს, მიმართოს პრეტენზიით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.
- 3.7. **კომპანიისათვის** პერსონალური მონაცემების მიწოდებისას, **კომპანია** არ ამოწმებს რამდენად არის პერსონალური მონაცემების მიმწოდებელი პირი მონაცემთა სუბიექტი ან/და მის გამჟღავნებაზე უფლებამოსილი პირი, შესაბამისად ნებისმიერი პერსონალური მონაცემის **კომპანიისათვის** მიწოდებისას/გამჟღავნებისას მიმწოდებელი/გამჟღავნებელია სრულად პასუხისმგებელი როგორც თავად მონაცემთა სუბიექტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე პერსონალური ინფორმაციის **კომპანიისათვის** გადაცემა/გამჟღავნებაზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემთა სუბიექტისაგან თანხმობის მოპოვების თაობაზე.

4. **მზა ჩანაწერების (ე.წ. „Cookie“ ფაილები) გამოყენება**

- 4.1. მზა ჩანაწერები წარმოადგენს მცირე ზომის ტექსტურ ფაილებს, რომელსაც **ვებ-გვერდი ვიზიტორის** სტუმრობისას ინახავს **ვიზიტორის** შესაბამის მოწყობილობაში. მზა ჩანაწერების მიზანია **კომპანიამ** უკეთ მართოს და გააუმჯობესოს **ვებ-გვერდის** ეფექტურობა, ასევე დააკვირდეს **ვებ-გვერდზე** ვიზიტორთა ქცევას, რათა სამომავლოდ გააუმჯობესოს **ვებ-გვერდით** სარგებლობის ხარისხი.
- 4.2. **ვებ-გვერდზე** ხდება შემდეგი კატეგორიის მზა ჩანაწერების გამოყენება:
 - 4.2.1. ანალიტიკური მზა ჩანაწერები - აღნიშნული იძლევა **ვებ-გვერდის ვიზიტორთა** რაოდენობისა და მათი ქცევის შესწავლის საშუალებას, რაც ხელს უწყობს **კომპანიას** სამომავლოდ **ვებ-გვერდის** მეშვეობით შესთავაზოს **ვიზიტორს** მისთვის საინტერესო ინფორმაცია და მომსახურება.
 - 4.2.2. ფუნქციური მზა ჩანაწერები - აღნიშნული იძლევა **ვებ-გვერდით** ფუნქციონალურად სარგებლობის გაუმჯობესების საშუალებას და ემსახურება **ვებ-გვერდით** სარგებლობის გაადვილებას.
- 4.3. ზემოთ აღნიშნული მიზნით **ვებ-გვერდზე** ხდება შემდეგი ინფორმაციის შეგროვება:
 - 4.3.1. **ვიზიტორის** IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, საოპერაციო სისტემა და ბრაუზერი საიდანაც ხდება **ვებ-გვერდზე** გადასვლა.
 - 4.3.2. **ინფორმაცია ვებ-გვერდზე** გახსნილი გვერდების, გახსნის ხანგრძლივობის და სხვადასხვა პარამეტრების შესახებ.
 - 4.3.3. ინფორმაცია **ვებ-გვერდზე** განხორციელებული ქმედებების შესახებ.
- 4.4. მზა ჩანაწერების შეზღუდვა ან/და მათი დაბლოკვა შესაძლებელია შესაბამისი ბრაუზერის პარამეტრების საშუალებით ან/და მზა ჩანაწერების წაშლით.

5. **პასუხისმგებლობის გამორიცხვა**

- 5.1. **ვებ-გვერდზე** განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რეკომენდაცია, სტატია და სხვა ბეჭდვითი მასალა/დოკუმენტი, წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას და განკუთვნილია მხოლოდ ინფორმირების მიზნებისათვის და არც ერთ შემთხვევაში უნდა იქნას მიჩნეული, როგორც **კომპანიის** პროფესიული რჩევა ან/და რეკომენდაცია.
- 5.2. **ვიზიტორი** არ უნდა დაეყრდნოს **ვებ-გვერდზე** განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რეკომენდაციას, სტატიას ან/და სხვა ბეჭდვით მასალას/დოკუმენტს **კომპანიისათან** შესაბამისი წინასწარი კონსულტაციის გავლის გარეშე.

- 5.3. **კომპანია** არ აგებს პასუხს, **ვებ-გვერდზე** განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, რეკომენდაციაზე, სტატიაზე ან/და სხვა ბექედით მასალაზე/დოკუმენტზე დაყრდნობის შედეგად ნებისმიერი პირისათვის მიყენებულ ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიან/ზარალზე.
- 5.4. მიუხედავად იმისა, რომ **კომპანია** მაქსიმალურად ცდილობს **ვებ-გვერდის** შეუფერხებლად ოპერირების უზრუნველყოფას, **კომპანია** პასუხს არ აგებს **ვებ-გვერდის** დროებით შეფერხებაზე ან/და მიუწვდომლობაზე და აღნიშნულით გამოწვეულ ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიან/ზარალზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 5.5. **ვებ-გვერდზე** განთავსებულია სხვადასხვა კომპანიების/სუბიექტების ვებ-გვერდების ლინკები და მათ შესახებ ინფორმაცია, თუმცა **კომპანიას** არ გააჩნია რაიმე სახის წვდომა ან/და ზეგავლენა აღნიშნული ვებ-გვერდ(ებ)ის ოპერირებასა და მათზე განთავსებულ ინფორმაციაზე. აღნიშნული ლინკების და ინფორმაციის **ვებ-გვერდზე** განთავსება არ უნდა ჩაითვალოს შესაბამისი კომპანიის/სუბიექტის რეკლამად ან/და მათი პროდუქტით/სერვისით სარგებლობის რეკომენდაციად.
- 5.6. **ვებ-გვერდზე** განთავსებული ნებისმიერი შეთავაზება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც **კომპანიის** მხოლოდ შეთავაზება (ოფერტი) და მისი ნებისმიერი პირის მიერ ცალმხრივად მიღება (აქცეპტი) არ წარმოშობს **კომპანიასა** და შესაბამის პირს შორის რაიმე სახის სამართლებრივ ურთიერთობას.

6. **სხვა პირობები**

- 6.1. **კომპანია** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს **ვებ-გვერდის პირობები, ვებ-გვერდზე** შეცვლილი რედაქციის განთავსების გზით.
- 6.2. **საკონტაქტო ფორმა** განკუთვნილია მხოლოდ **კომპანიასთან** კომუნიკაციის დამყარების მიზნებისათვის. **კომპანია** არ იძლევა რაიმე სახის გარანტიას **საკონტაქტო ფორმის** უსაფრთხოებასთან ან/და დაცულობასთან დაკავშირებით, შესაბამისად **საკონტაქტო ფორმა** არ უნდა იქნას გამოყენებული ნებისმიერი კონფიდენციალური ან/და სხვა სახის სენსიტიური ინფორმაციის **კომპანიისთვის** მიწოდების საშუალებად.
- 6.3. **კომპანიის** საკონტაქტო მეილზე კონფიდენციალური ინფორმაციის გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას, რომ ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კომპანია** პასუხს არ აგებს მის გამჟღავნებაზე.
- 6.4. **კომპანიის** სახელით გაგზავნილი ნებისმიერი წერილი/შეტყობინება (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) და მისი ნებისმიერი დანართი ან/და მასში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ შესაბამისი ადრესატისათვის და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. თუკი, თქვენ არ წარმოადგენთ აღნიშნული წერილის/შეტყობინების ადრესატს ან/და ადრესატის უფლებამოსილ წარმომადგენელს, გაცნობებთ, რომ დაუშვებელია მიღებული წერილის, მისი ნებისმიერი დანართის ან/და მასში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამოყენება, გავრცელება, კოპირება, ბექედა ან/და გამჟღავნება. თუკი, თქვენ არასწორად მიიღეთ წერილი, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ აღნიშნულის თაობაზე გამომგზავნს და დაუყოვნებლივ წაშალოთ წერილი და მისი ნებისმიერი დანართი შესაბამისი მოწყობილობიდან.